# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 4-13

27 დეკემბერი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული პირების (შემდგომში - მოსაკრებლის გადამხდელები) მიმართ დადგინდეს შეღავათი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდაზე, ამ დადგენილების შესაბამისად.

**მუხლი 2.**

1. მოსაკრებლის გადამხდელები, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, გათავისუფლდნენ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის დაწესებული მოსაკრებლის (შემდგომში-მოსაკრებელი) გადახდისაგან 2022 წლის განმავლობაში, გარდა ამ დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. მოსაკრებლის გადამხდელი მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ მოსაკრებლის გადამხდელი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებით ისარგებლებს 2022 წლის დასრულებამდე, მას ამ პერიოდიდან მოსაკრებელი დაერიცხება ჩვეულებრივი წესით.

4. იმ შემთხვევაში, თუ მოსაკრებლის გადამხდელი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებით ვერ ისარგებლებს 2022 წლის განმავლობაში, იგი გამოუყენებელი შეღავათით ვეღარ ისარგებლებს მომდევნო წლების განმავლობაში.

**მუხლი 3.**

მოსაკრებლის გადამხდელებს, რომელთაც 2022 წლის პერიოდზე გადახდილი აქვთ მოსაკრებელი, გადახდილი თანხა აესახებათ სააბონენტო ბარათზე (რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას), რომელიც ჩაითვლება ამ დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდის შემდგომ დარიცხული მიმდინარე დავალიანების დასაფარად.

**მუხლი 4.**

ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ პირები უფლებამოსილი არიან უარი განაცხადონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შეღავათით სარგებლობაზე, მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურთან ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირთან განაცხადის შეტანის გზით.

**მუხლი 5.**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**

| # | მოსაკრებლის გადამხდელთა კატეგორია |
|---|---|
| 1. | „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-46 დადგენილების „დანართი 2“-ის მე-6 გრაფით გათვალისწინებული სუბიექტები (სასტუმროები და სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლები), რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა შემდეგ პირობას:<br>✓ დარეგისტრირებულნი არიან „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-46 დადგენილებით გათვალისწინებულ აბონენტად;<br>✓ შეღავათით სარგებლობის დროს არ უნდა იყვნენ რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმში ან ლიკვიდირებულნი. |
| 2. | „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-46 დადგენილების „დანართი 2“-ის 21-ე გრაფით გათვალისწინებული სუბიექტები (რესტორნები, პიცერიები, სასადილოები (გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა) კაფეები და ბარები), რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა შემდგ პირობას:<br>✓ დარეგისტრირებულნი არიან „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-46 დადგენილებით გათვალისწინებულ აბონენტად;<br>✓ შეღავათით სარგებლობის დროს არ უნდა იყვნენ რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმში ან ლიკვიდირებულნი. |